აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
ACADEMIC BOARD OF AKAKI
TSERETELI STATE UNIVERSITY

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

16 სექტემბერი, 2022

დადგენილება №6 (22/23)
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ
(ცვლილება აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრის დადგენილებაში №5 (17/18))

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №105/ნ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, **აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. შევიდეს ცვლილება აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრის დადგენილებაში №5 (17/18)), რის საფუძველზე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების სისტემა დამტკიცდეს შემდეგი სახით:

სტუდენთა შეფასება სასწავლო კომპონენტში
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა იყოფა შემდეგ კომპონენტებად:
საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) **შუალედური შეფასების** ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს შემდეგი შეფასების ფორმებს:
სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში (მოიცავს შეფასების სხვადასხვა კომპონენტებს) **- არა უმეტეს 30 ქულა;**
შუალედური გამოცდა - არა ნაკლებ 30 ქულა.
დასკვნითი გამოცდის ხვედრითი წილი შეადგენს - 40 ქულას.
დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომლის შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ **18 ქულას.**
შეფასების სისტემა ითვალისწინებს:
ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
ა.გ) (C) კარგი –71-80 ქულა;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში (აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ).
დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება **15-25 ქულათა** დიაპაზონით (არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს; მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შესაძლებელია აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს).
სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

შენიშვნა: შუალედური და დასკვნითი (დამატებითი) გამოცდები ჩატარდება ფორმალიზებული წესით.

2. დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე, რექტორი: პროფ. როლანდ კოპალიანი